

## არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე-დვალი)



## ბიბლიური მცენარეები

თბილისი 2016

არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე-დვალი)



## ბიბლიური მცენარეები

თბილისი 2016

ყდის წინა გვერდი: კედრომის ხეობა  
ყდის უკანა გვერდი: თაბორის მთიდან

საავტორო უფლებები დაცულია  
ფოტომასა: არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე-დვალის)  
დიზაინი: სარეკლამო სააგენტო „მედია არტი“  
დიზაინერები: თამარ გედევანიშვილი, ელენე წითლანაძე  
კორექტურა: გიორგი თვალთაშვილი



არქიმანდრიტი ლაზარე  
(გაგნიძე-დვალის)

### ავტორისაზან

თქვა ღმერთმა: აღმოაცენოს მინამ მცენარეული – ბალახი, თესლის მთესველი, ხე ნაყოფიერი, თესლოვანი ნაყოფის მომტანი მინაზე თავისი გვარისდა მიხედვით. და იქმნა ასე. წარმოშვა მინამ მცენარეული – ბალახი, თესლის მთესველი თავისი გვარისდა მიხედვით, და ხე, თესლოვანი ნაყოფის მომტანი, თავისი გვარისდა მიხედვით (შესაქმე, 1, 11-12). და შემდგომ შექმნა ღმერთმა ადამიანი და თქვა: აჰა, მომიცია თქვენთვის ყოველი ბალახი, თესლის მთესველი, რაც კი დედამიწის ზურგზეა, და ყოველი ნაყოფიერი ხე, თესლის მთესველი. ეს იყოს თქვენი საზრდო (შესაქმე, 1, 29). აღმოაცენა უფალმა ღმერთმა მინიდან ყოველი ხე, სანახავად საამო და საჭმელად ვარგისი, უწოდა ყოველ მათგანს თავისი სახელი და აკურთხა ადამიანს მათი მოვლა-პატრონობა. ძველი აღთქმის ეპოქიდან დაწყებული, მცენარეთა სახელები თაობიდან თაობამდე ზეპირი სახით გადაეცემოდა შთამომავლობას, წმინდა ბიბლიის წყალობით კი მცენარეთა ყველაზე მეტად გავრცელებული სახელები უცვლელი სახით თავდაპირველი ებრაული სახელწოდებებით კულტურულ მემკვიდრეობად მიიღო კაცობრიობამ. არაებრაელ ხალხებში განვითარების ამ რთულ ისტორიულ პროცესს მარტივად არ ჩაუვლია. ბიბლიის მთარგმნელები ცდილობდნენ ებრაული ორიგინალისათვის მშობლიურ ენაზე ზუსტი შესატყვისი სახელწოდებების მისადაგებას, მაგრამ რიგ შემთხვევაში უნებლიედ უშვებდნენ შეცდომებსაც. როდესაც ებრაულ ტექსტებთან ვადარებთ სხვადასხვა ენაზე გამოცემულ ბიბლიის ტექსტებს, ვხვდებით ფაქტებს, როცა ერთი და იგივე მცენარე ებრაულიდან სხვადასხვა ენაზე თარგმნილია არა მისი შესატყვისით, არამედ სხვა მცენარის სახელწოდებით, ვთქვათ იაღლუნი – ნეკერჩხლის, ჭადარის ან ვერხვის სახელწოდებით. ამგვარი ვითარება სუფევს თითქმის ყველა თარგმანში, იქნება ეს ინგლისური, გერმანული თუ რუსული. იგივე ბედი დაჰყვა ბიბლიის ქართულ თარგმანსაც. ღვთის შეწევნით ჩვენ შევეცადეთ წინამდებარე გამოცემაში ქართული მასალის მაგალითზე გვეჩვენებინა ბიბლიის უცხოურ ენებზე შესრულებულ თარგმანებში არსებული ვითარებაც.

## აბზინდა *Artemisia absinthium*



ამიტომ ასე ამბობს ცაბაოთ უფალი  
წინასწარმეტყველებაზე: აჰა,  
შევაჭმევ მათ **აბზინდას** და შევასმევ  
მწარე წყალს, რადგან იერუსალიმის  
წინასწარმეტყველთაგან მოდის  
ცთუნება მთელს ქვეყანაში.

იერემია 23, 15

აბზინდა უდაბნოს ბინადარი  
მძაფრი სუნის, მწარე გემოს  
მქონე დაბალი ბუჩქოვანი  
მცენარეა. მისი ეთერზეთები  
და უმწარესი ნაყენი უსსოვარი  
დროიდან გამოიყენება  
ხალხურ მედიცინაში.  
აბზინდას ფოთლებით და  
ღვინით დამზადებულ ნაყენს  
პალესტინის უდაბნოში  
არსებული მონასტრების  
ბერმონაზნობა იყენებდა  
უამრავ სხვადასხვა  
დაავადებათა სამკურნალოდ.



## ვერცხლისფერი აბზინდა *Artemisia arborescens*

## ბკპციბ *Acacia tortilis*

გააკეთონ კიდობანი ურთხელისაგან: სიგრძე ორნახევარი წყრთა, სიმაღლე – ერთნახევარი წყრთა. ხალასი ოქროთი მოჭედე შიგნიდან და გარედან და ოქროს გვირგვინი შემოავლე ირგვლივ.

გამოსვლათა 25, 10-11



აღთქმის კიდობანი ბიბლიის ებრაული ორიგინალის მიხედვით (შემოტ, 25, 5 და შემდგ.) დამზადდა შიტტიმის ხისაგან, ე.ი. აკაციის ხისაგან. აკაციის სახეობა გამოსვლათა წიგნში დაკონკრეტებული არ არის, მაგრამ ებრაული ტრადიცია მას „სავანას აკაციად“ (*Acacia tortilis* - ად) მიიჩნევს. უნდა აღინიშნოს, რომ დაბადების 25-27 თავებში, სადაც საუბარია აღთქმის კიდობანზე, და იმ მასალაზე, რისგანაც დამზადდა იგი, „vulgata“-ში ყველგან საუბარია „Ligna setthim“-ზე, ე.ი. აკაციის სახეობაზე. ბიბლიის ქართულ თარგმანთა ყველა უძველესი ხელნაწერის მიხედვით აღთქმის კიდობანი მომზადდა ულპოლველისაგან, ე.ი. ურთხელისაგან. საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოცემულ ბიბლიაში ძველქართული სიტყვა ულპოლველი, შეცვლილია ახალქართული სახელწოდებით, ურთხელით. ბაბილონის თალმუდის მიხედვით აკაციის ებრაული სახელწოდებაა „როშ ჰამანა“, ხოლო ზემოთ მოტანილ მუხლში ნახსენები სავანის აკაციისა კი – „შიტათ ჰა სოქას“.

გააკეთა საკმევლის სამსხვერპლო ურთხელისაგან: ერთი წყრთა სიგრძე ჰქონდა, ერთი წყრთა – სიგანე, ერთი წყრთა სიმაღლე, მისგანვე იყო ნაკეთები მისი რქები.

გამოსვლათა 37, 25



# ურთხელი (ულპოლველი) *Taxus baccata*

გაიკეთე კიღობანი ურთხელისაგან. ბუდეები გაუკეთე კიღობანს, შიგნით და გარეთ ფისით შეფისე. ამგვარიუნდა ააგო იგი: სიგრძით სამასი წყრთა იყოს კიღობანი, სიგანით – ორმოცდაათი წყრთა, სიმაღლით – ოცდაათი წყრთა; სასინათლო გაუკეთე კიღობანს, ზემოდან ერთ წყრთაზე დაუტანე; კარი გვერდიდან შეაბი კიღობანს; ქვედა, მეორე და მესამე სართული გაუკეთე.



## დაბადება 6, 14-16

ბიბლიის უძველეს ქართულ ხელნაწერებში მითითებული არ არის იმ ხის სახელწოდება, რომლითაც ნოემ ააგო კიღობანი. ისევე, როგორც სეპტუაგიაში, ქართულ აღნიშნულ ტექსტებშიც საუბარია უბრალოდ კვადრატულ ძელებზე. მოგვიანო ხანებში ქართულ თარგმანებში კიღობანის მასალად ჩნდება „ულპოლველი ძელები“, რომელიც უახლეს ქართულ თარგმანში შეიცვალა „ურთხელით“, ე.ი. „*Taxus baccata*“- თი. ბიბლიის ებრაული ტექსტის მიხედვით კიღობანი, რომელიც ნოემ ღმერთის მითითებით ააგო, აშენდა „გოფერის“ ძელებისაგან. სიტყვა „გოფერი“ ბიბლიაში მოიხსენიება ერთად-ერთჯერ, ისიც მხოლოდ დაბადების დამონმებულ მუხლში.



ვულგატაში „გოფერის“ ლათინური დასახელებაა „*Lignis levigatis*“, ინგლისელები მას „Gopherwood“- ით თარგმნიან. დღეს აღარავინ იცის ხის რომელ სახეობას აღნიშნავს „გოფერი“, თუმცა მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება იმაში, რომ ეს წარმოადგენდა წიწვოვანი მცენარის ერთ-ერთ უცნობ სახეობას. ვარაუდობენ, რომ ეს კვიპაროსის ის სახეობაა, რომელსაც ძველი ფინიკიელები გემების მშენებლობაში იყენებდნენ. უნდა შევნიშნოთ, რომ ბიბლიის უკანასკნელი დროის ქართულ თარგმანში, განსაკუთრებით გამოსვლათა წიგნში, კიღობანის მასალად სახელდება „ურთხელი“, რაც გაუმართლებელია. წმინდა მიწაზე „ურთხელი“ წარმოადგენს იშვიათ მცენარეს, რაც კარგად ჩანს ბიბლიის ებრაული ტექსტიდანაც. იქ, სადაც ქართულ ბიბლიაში ვხვდებით „ურთხელს“, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს უმრავლეს შემთხვევაში არის აკაციის ერთ-ერთი სახეობა, რომლის ლათინური სახელწოდება ვულგატას მიხედვით „sethim“-ია.

# ბეთელის მუხა *Quercus ithaburensis*

ააგო იქ სამსხვერპლო და უწოდა იმ ადგილს სახელად ელ-ბეთელი, რადგან აქ გამოეცხადა ღმერთი, როცა თავის ძმას გაურბოდა. მოკვდა დებორა, რებეკას ძიძა, და დამარხეს ბეთელს ქვემოთ, **მუხის** ქვეშ. უწოდა სახელად ამ ადგილს ალონ-ბაქუთი (მუხა გლოვისა).

დაბადება 35, 7-8

გასცდები ამ ადგილს და მიხვალ თაბორის **მუხნართან** და შეხვდები ბეთელისკენ სალოცავად მიმავალს სამ კაცს. ერთს სამი თიკანი მიჰყავს, მეორეს სამი პური მიაქვს, მესამეს ტიკით ღვინო. მშვიდობით მოგიკითხავენ და ორ პურს მოგცემენ, შენც გამოართმევ.

1 მეფეთა 10, 3-4



ძველი აღთქმის წიგნებში საკმაოდ ხშირადაა საუბარი მუხაზე, რაც მეტწილად უკავშირდება გარკვეულ ისტორიულ მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა წმინდა მინაზე და, რომელიც ყოველთვის უკავშირდება რეალურ ისტორიულ პიროვნებას. ამასთან, როცა ბიბლიაში საუბარია მუხაზე, დაკონკრეტებული არ არის, კერძოდ მუხის რომელ სახეობასთან გვაქვს საქმე. დროთა განმავლობაში მოხდა მუხის ამ სახეობათა იდენტიფიკაცია. ძირითადად გვხვდება სამი სახეობის მუხა: თაბორის (ბეთელის, მამრეს) მუხა, *Quercus ithaburensis*, რომლის ებრაული სახელწოდებაცაა – „ალონ ჰა ტავოლ“, პალესტინის მუხა – *Quercus calliprinos*, ებრაულად – „ალონ მაცუი“ და ალეპოს მუხა – *Quercus boissieri*, ებრაულად – „ალონ ჰა ტულა“.



ბლებოს მუხა *Quercus boissieri*



პალესტინის მუხა *Quercus calliprinos*



# ბრონეული *Punica granatum*

რისთვის ამოგვიყვანეთ ეგვიპტიდან ამ უბედურ არემარეში, სადაც არ არის თესლის ადგილი, არც ლეღვი, არც ყურძენი, არც ბრონეული და არც სასმელი წყალია?

რიცხვნი 20, 5



ბრონეული, ებრაულად „რიმონ მაცუი“, წმინდა მინაზე ერთ-ერთი მასიურად გავრცელებული მცენარეა, იშვიათი სილამაზის ყვავილით და ნაყოფით. მისგან გამონურულ წვენს როგორც ებრაელი, ასევე არაბი მოსახლეობა ფართოდ იყენებს დესერტის სახით სასმელად. მისგანვე ამზადებენ ხორცისა და თევზეულის სანელებლად უიშვიათეს სანებელს. ებრაელები ბრონეულისაგან უხსოვარი დროიდან ამზადებდნენ ბრონეულის ღვინოს, ხოლო იზრაელის სახელმწიფო საკმაოდ წარმატებით ეწევა მის ექსპორტს. ებრაულ ხალხურ პოეზიასა და სიმღერებში ბრონეული სილამაზისა და მშვენიერების მეტაფორულ სახეს წარმოადგენს.

# ვარდკაჭაჭა *Cichorium pumilum*

იმავე ღამეს შეეჭამონ ცეცხლზე შემწვარი ხორცი და ხმიადი; მწარე ბალახი შეატანონ.

გამოსვლათა 12, 8

გამოსვლათა (შემოტი) წიგნის ებრაული ვერსიის აღნიშნულ მუხლში „მწარე ბალახი“ მოცემულია ამ მცენარის სახელწოდების დაუსახელებლად. საგულისხმოა, რომ ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის ჩვენამდე მოღწეული თითქმის ყველა ხელნაწერი ებრაული ტექსტისაგან განსხვავებით, „მწარე ბალახის“ შესატყვისად იძლევა კონკრეტულ სახელწოდებას – „ველის ყრდელი“. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ერთი ხელნაწერი, სადაც „მწარე ბალახის“ შესატყვისად ფიგურირებს „მდოგვი“. თუ გავითვალისწინებთ, იმ გარემოებას, რომ სახარების შემწეობით „მდოგვი“ მყარად იყო გამჯდარი ქართულ ცნობიერებაში, საეჭვოა, რომ ბიბლიის მთარგმნელებს ეს სიტყვა ეხმარათ ხსენებული მწარე ბალახის აღსანიშნავად. ვფიქრობთ, რომ „ყრდელი“ ესადაგება იმ მწარე ბალახის აღმნიშვნელ სახელწოდებას ებრაელები პასექის დღესასწაულის დროს რომ იყენებენ. თანამედროვე ქართულში ამ სიტყვის მნიშვნელობა აღარავინ იცის. ქართული განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ეს სიტყვა იგივეა, რაც სალათა. ასეა, თუ ისე, ამკარაა, რომ ქართულ თარგმანში, ებრაული ტერმინი არასწორადაა გადმოტანილი. უნდა აღინიშნოს, რომ ებრაელი ავტორის დავიდ დარომის ინგლისურ ენაზე გამოცემული „ბიბლიის ულამაზეს მცენარეებში“ „მწარე ბალახად“ შემთხვევით არ უნდა იხსენიებოდეს „ქონდარა ვარდკაჭაჭა“, რაც გვაფიქრებინებს, რომ ებრაული ტრადიცია ამ „მწარე ბალახად“ „ქონდარა ვარდკაჭაჭას“ (ებრაულად „ულამ მაცუი“-ს) მიიჩნევს.



## ვაშლი (მაჟალო) *Malus sylvestris*

როგორც ხე ვაშლისა ტყიურ ხეთა შორის, ასეა საყვარელი ჩემი ჭაბუკთა შორის! მის ჩრდილში მსურს და ვზივარ კიდევ, ნაყოფი მისი ეტკბო ჩემს სასას.

ქებათა ქება 2, 3



სოლომონის „ქებათა ქებაში“ ნახსენები ვაშლის სახეობის რეალურად წარმოდგენის მიზნით ვამჯობინეთ მკითხველისათვის შეგვეთავაზებინა ვაშლის ველური სახეობის ფოტო, რითაც, ვფიქრობთ, შევუნარჩუნეთ მას არქაული სახე. ჩვენს ეპოქაში გამოყვანილია ვაშლის უთვალავი კულტურული ჯიშები, მათ შორის კლონირებულიც, რომლებიც ბევრად უფრო მიმზიდველად გამოიყურება, მაგრამ რომ იტყვიან „ძველი უმჯობეს არს“.

## ზაფრანა *Crocus hyemalis*

ბალი ხარ დახშული, სძალო, დაო ჩემო, ჭა  
დაგმანული, წყარო დაბეჭდილი... ნარდით  
და **ზაფრანით**, ლერწმით და კინამოთი,  
ყოველგვარი გუნდრუკის სითურთ, მურრით  
და ალოეთი, ყოველგვარი რჩეული  
სურნელებით.

ქებათა ქება 4, 12-14



აღნიშნული ფოტო გადაღებულია 2015 წლის 16 დეკემბერს იერუსალიმში, კედრონის ხეობაში, აბესალომის აკლდამის უშუალო სიახლოვეს. მასში გაცოცხლებულია ოცდაათი საუკუნის წინანდელი ხანა, ებრაელთა მეფის სოლომონ ბრძენის ეპოქა. ტკბები ამ მშვენიერი ყვავილის სილამაზით, ტკბები იმ სურნელებით, ოცდაათი საუკუნის წინ ამ სტრიქონების ავტორს რომ ატკობდა.

# ზეთისხილი *Olea europaea*

დაბრუნდა მტრედი სალამოყამს და, აჰა, **ზეთისხილის** ნედლი რტო ეჭირა ნისკარტით. მიხვდა ნოე, რომ დამწყდარიყო წყალი დედამინაზე.

დაბადება 8, 11



კაცობრიობას მარადის უნდა ახსოვდეს და იმედს აღუძრავდეს ზეთისხილის ბაღის გახსენება, სადაც ჯვარცმის წინ ჩვენთვის უკანასკნელად ილოცა მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ, ზეთისხილის ყვავილოვანი რტო მარადის უნდა გვახსენებდეს წარღვრით განბანილ და განწმენდილ ადამიანურ ცოდვებს, ვინძლო ვიყოთ ზეთისხილის ნედლი რტოსავით მარადის წმინდა და უმანკო.

# თეთრი ხვალო *Populus alba*

აილო იაკობმა ალვისხის, ნუშის და ნეკერჩხლის ნედლი ჯოხები, ალაგ-ალაგ გალოპა, ისე რომ ჯოხებს თეთრი ზოლები დააჩნდა.

დაბადება 30, 37

აილო იმ ქვეყნის თესლი და ჩათესა ნაყოფიერ ყანაში; უხვ წყლებთან დადო და დარგო ტირიფივით.

ეზეკიელი 17, 5



თეთრი ხვალო განეკუთვნება ტირიფისებრთა ოჯახს და იზრდება უპირატესად წყალუხვ მდინარეთა ნაპირებზე. ბიბლიაში გვხვდება სულ რამოდენიმეჯერ. მისი ებრაული სახელწოდებაა „ცაფცაფა მაქრიფა“. იგი ბიბლიის ძველ ქართულ ხელნაწერებში მოიხსენიება სახელწოდებით „ბრანი“ („გრაკლის ხე“), ხოლო თანამედროვე ქართულ თარგმანებში სახელწოდებებით – „ალვისხე“, „ჩინარი“, „ტირიფი“, იმ დროს, როცა ებრაული ორიგინალის სწორი შესატყვისია „თეთრი ხვალო“. თარგმნის თვალსაზრისით ქართულის მსგავსი ვითარებაა ბიბლიის უცხოურ თარგმანებშიც, თუ არ ჩავთვლით ინგლისურ, გერმანულ (შტუტგარტის ბიბლია) და რუსულ უახლეს გამოცემებს. ამ უკანასკნელი გამოცემების მიხედვით „იაკობმა აილო თეთრი ხვალოს, ნუშის და ჭადრის ტოტები, გალოპა, ისე, რომ მათ თეთრი ზოლები დამჩნეოდა“, რაც ზუსტად შესატყვისება ებრაულ ორიგინალს.



## ნეკერჩხალი *Acer obtusifolium*



მსოფლიოში გავრცელებულ ნეკერჩხლის უამრავ სახეობათაგან წმინდა მიწაზე ვხვდებით უპირატესად სირიულ ნეკერჩხალს. იგი ველურად იზრდება იზრავლის სამხრეთ მთიან რეგიონში, ჰერმონსა და გალილეაში. დღეს სირიულ ნეკერჩხალს იყენებენ ქალაქის ქუჩებისა და გაზონების გასამწვანებლად.



# თუთა *Morus nigra*

დანახეს სპილოებს ყურძნის და თუთის  
სისხლი, საბრძოლველად რომ გაეხელებინათ.

1 მკაბელთა 6, 34



# იალღუნი *Tamarix aphylla*

დარღო იაღღუნი ბერღებაში აბრაამმა და  
ახსენა იქ უფღის, საუკუნო ღმერთის სახელი.

ღაბადება 21, 33



ანტიკურ ხანაში ძველი ებრაელები იაღღუნს  
თაყვანს სცემდნენ როგორც წმინდა ხეს.  
ამაზე მეტყველებს ბიბლიიდან დამონღმებული  
ამონარიდი. ისევე, როგორც მუხა, იაღღუნიც  
უკავშირდებოდა მიცვაღებულითა  
დაკრძალვის წესს. იაბეღში, იაღღუნის  
ძირთან ჰპოვეს ბიბლიის მიხედვით  
სამარადისო განსასვენებელი ცნობიღმა  
ბიბლიურმა პერსონაჟებმა, ფიღისტიმეღების  
მიერ მოკღულმა ებრაელთა მეფემ საულმა და  
მისმა სამმა ვაჟმა. იაღღუნის კორომეღი  
განსაკუთრებითაა გავრცეღებული ბერღებას  
მხარეში. უდაბნოში მცხოვრეღი ბედუინეღი  
იაღღუნის ნეღლი ღეროებისაგან დღესაც  
ამზადებენ ნაყენს, რომელსაც იყენებენ  
სხვადასხვა სამკურნალო დანიღნუღებით,  
განსაკუთრებით კი სამეანო საქმეში.

## ინდაუ *Eruca sativa*

გავიდა ერთი მათგანი მინდორში მწვანე ნილის მოსაკრეფად, იპოვა ველური ვაზი, დაკრიფა მთელი კალთა ველური ნაყოფი. მოვიდა და ჩააჭრა შეჭამადის ქვაბში, მათ კი ვერ გაიგეს. გადმოუსხეს კაცებს საჭმელად და, როცა ჭამდნენ კერძს, აყვირდნენ და თქვეს: სიკვდილია ქვაბში, ლეთისკაცო! და ველარ შეჭამეს.

2 მეფეთა 4, 39-40



დავიდ დარომის მიერ გამოცემულ “Beautiful Plants of Bible” - ში ბიბლიიდან დამონმებულ ამონარიდში მოხსენიებული „ველური ნაყოფი“ მიჩნეულია წმინდა მიწის მოსახლეობისათვის კარგად ცნობილ მცენარედ, რომლის სახელწოდებაა „ინდაუ“. ინდაუ ველურად იზრდება მდინარე იორდანის მიმდებარე ტრამალეებში. მის ნორჩ ფოთლებს ჯერ კიდევ ძველი აღთქმის ეპოქაში იყენებდნენ სხვადასხვა ბოსტნეულთან ერთად, აგრეთვე ხორციით დამზადებული კერძების სანელებლად. ინდაუს აქვს მდოგვისმაგვარი ცხარე გემო და არის საკმაოდ ყუათიანი.

# კაკალი, ნიგობი *Juglans regia*

ჩავედი **ნიგვზნარში**, რომ მენახა მწვანე  
ჭალები; მენახა, თუ აყვავდა ვაზი, თუ  
გაიფურჩქნა ბრონეული.

ქებათა ქება 6, 11



# კაპარი *Capparis spinosa*

და სიმაღლისაც შეეშინდებათ, გზაზე კი შიში შეიპყრობთ, დაიკვირტება ნუში, დამძიმდება კუთკალია, დაირღვევა კაპარი, რადგან მიდის ადამიანი თავის მარადიულ სახლში, მოტირალნი კი უბანში ტრიალებენ ...

ეკლესიასტე 12, 5



ეს მომხიბვლელი მცენარე უდაბნოს მშვენებაა. წმინდა მინაზე განსაკუთრებით გავრცელებულია გალილეის სანაპიროზე, იუდეის უდაბნოში, გილბოას, კარმელის, სამარიის მთიანეთში. ჩვენთან ვხვდებით ძეგვის, შიომღვიმის, ბებრისციხის მიდამოებში. კაპარის ნორჩ ყლორტებს, ფოთოლს იყენებენ სხვადასხვა სახის სალათებში, დამწნილებულ ნაყოფს კი, როგორც იშვიათ დელიკატესს. მას ფართო გამოყენება აქვს ხალხურ მედიცინაშიც.



# კურდღლისცოცხა *Genista fasselata*

თავად კი უდაბნოში გავიდა ერთი დღის სავალზე; მივიდა ერთ ბუჩქთან და მის ძირას დაჯდა. სიკვდილი ინატრა და თქვა: ახლა კი კმარა, უფალო, ნაილე ჩემი სული, რადგან ჩემს მამა-პაპაზე უკეთესი არა ვარ.

3 მეფეთა 19, 4



ქართულ ტექსტში ბუჩქის სახელწოდება არ არის მითითებული. ბიბლიის უცხოურ თარგმანთა ერთი ჯგუფი მიიჩნევს (მაგ. ვულგატა), რომ ეს ბუჩქი ღვიაა, მეორე ჯგუფისათვის ეს კურდღლისცოცხაა. უდაბნოში, ბერშებას მიდამოებში, სადაც ტექსტის მიხედვით ელია წინასწარმეტყველი ერთი დღის სავალზე იმუამად გავიდა, განსაკუთრებით გავრცელებულია არა ღვია, არამედ კურდღლისცოცხა. ამდენად, ერთხანს ივარაუდებოდა, რომ აღნიშნული ბუჩქი კურდღლისცოცხა იყო. ებრაული ტრადიცია კი მიიჩნევს, რომ ეს მცენარე რეტამაა.

## კუროსთავი *Tribulus terrestris*

ეკრძალენით ცრუნინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდნენ თქუენდა სამოსლითა ცხოვართაითა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ. ნაყოფთა მათთაგან იცნეთ იგინი. ნუუკუე შეკრიბიან ეკალთაგან ყურძენი, ანუ კუროსთავთაგან ლელვი?

მათე 7, 16



კუროსთავი აბეზარი სარეველა მცენარეა. იგი იზრდება სავარგულების გარდა სოფლის გზებსა და ვისპირებზე. მისი ბასრი ეკლიანი ნაყოფი ჩლიქებში ერჭობოდა საქონელს, რითაც პრობლემებს უქმნიდა მესაქონლეებს. ამან განაპირობა წმინდა წერილში მისი უარყოფითი კონტექსტში მოხსენიება. კუროსთავის ნაყოფი შეიცავს ტანინს და ეთერზეთებს, რაც განაპირობებს მედიცინაში მის მატონიზირებელ საშუალებად გამოყენებას.

## რეტამა *Retama raetam*

თავად კი უდაბნოში გავიდა ერთი დღის სავალზე; მივიდა ერთ ბუჩქთან და მის ძირას დაჯდა. სიკვდილი ინატრა და თქვა: ახლა კი კმარა, უფალო, ნაილე ჩემი სული, რადგან ჩემს მამა-პაპაზე უკეთესი არა ვარ.

3 მეფეთა 19, 4



**რეტამა** განეკუთვნება პარკოსანთა ოჯახს. იგი წააგავს კურდღლისცოცხას, იმ განსხვავებით, რომ კურდღლისცოცხას ყვითელი ყვავილი აქვს, რეტამას – თეთრი, წითელი კენკროვანი ნაყოფით. ამ მსგავსებით აიხსნება, რომ ბიბლიის ევროპულ ენებზე თარგმნილ ტექსტებში ეს მცენარე კურდღლისცოცხადაა მოხსენიებული, ხოლო ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ბიბლიის ქართულ თარგმანში – ბელეკონად, რაც სრულიად გაუგებარია, რადგან ბელეკონი, იგივე ტერებიინთო საკმაოდ დიდი ხეა, რეტამა კი – ბუჩქი. საპატრიარქოს მიერ გამოცემულ ტექსტში რეტამას ეკვივალენტად მოცემულია „ერთი ბუჩქი“. ებრაული ტრადიციით ეს ბუჩქი გახლავთ რეტამა. მისი ებრაული სახელია „როთემ ჰა მედაბერ“-ი. იგი გავრცელებულია იზრაელის მთელ ტერიტორიაზე გოლანის მთიანეთიდან – მკვდარ ზღვამდე.



## ლენცოფა *Hyoscyamus aureus*



და გადიოდა საზღვარი ყვერონის ჩრდილო მხარეს, და უხვევდა საზღვარი შიქქერონისაკენ, და გადადიოდა ბაყალას მთაზე, და აღწევდა იაზნელამდე და თავდებოდა საზღვარი ზღვასთან.

იესო ნავეს ძე 15, 11

შიქქერონი არამეულად ნიშნავს ლენცოფას. ოქროსფერი ლენცოფა წმინდა მიწის რელიქტური მცენარეა. აქ მას ვხვდებით ყველგან დანყებული იერუსალიმის ძველი ქალაქის კედლებიდან იორდანის, სამარიის, იუდეის უდაბნოთი და დამთავრებული მკვდარი ზღვის მიდამოებით.



# ლეღვი *Ficus carica*

აეხილათ თვალი ორივეს და მიხვდნენ, რომ შიშველნი იყვნენ. გადააკერეს ლეღვის ფოთლები და არდაგები გაიკეთეს.

დაბადება 3, 7



... იხილეთ ლეღვი და ყოველნი ხენი. რაჟამს გამოვალნ ფურცელი, თუით უნყოდით, რამეთუ ახლოს არს ზაფხული. ეგრეცა თქუნენ, რაჟამს იხილოთ ესე ყოველი ყოფილი, უნყოდეთ, რამეთუ ახლოს არს სასუფეველი ღმრთისაი.

ლუკა 21, 29-31

# ლევსულელი *Ficus sycomorus*

და მისცა გესლსა ნაყოფი მათი  
და ნაშრომი მათი მკალსა.  
მოსრა სეტყვითა ვენახები  
მათი, და ლევსულენი  
მათნი თრთვილითა.

ფსალმუნნი 77, 46-47



ლევსულელი ერთ-ერთი ყველაზე  
გავრცელებული ტროპიკული მცენარეა  
წმინდა მიწაზე. იგი განეკუთვნება  
ფიკუსების ოჯახს, ნაყოფი მისი  
გარეგნულად წააგავს ლევს, მაგრამ  
მდარეა და საჭმელად უვარგისი.  
სამაგიეროდ, როგორც მაღალი ხარისხის  
სამშენებლო მასალას, ფართო გამოყენება  
აქვს სადურგლო საქმეში. ქრისტიანულ  
სამყაროში ლევსულელი ცნობილია ლუკას  
სახარებაში (19,1-10) ზაქეს შესახებ  
მოთხრობილი იგავის წყალობით. იერიქონში  
გადაღებულ ფოტოებზე მოცემულია ზაქეს  
იგავიდან ცნობილი ლევსულელის ხე.

# ლიბანის ნაძვი (კედარი) *Cedrus libani*



და ღვინო ახარებს გულსა კაცისასა, საცხებელითა მხიარულ ყოფად პირი, და პური გულსა კაცისასა განამტკიცებს. განძღენ ხენი ველისანი, და ნაძუნი ლიბანისადმი, რომელ დაჰწერგენ.

ფსალმუნნი 103,15-16

ლიბანის კედარი ძველი და ახალი აღთქმის ქართულად თარგნილ წიგნებში ტრადიციულად ყველგან ლიბანის ნაძვად მოიხსენიება. ხმელთაშუა ზღვის აუზის ამ ულამაზესმა მცენარემ როგორც ებრაელი, ასევე ქართველი ხალხისაგან სამართლიანად დაიმსახურა განსაკუთრებული თაყვანისცემა. ჩვენი ხალხების ცნობიერება ლიბანის ნაძვს ოდითგანვე სილამაზისა და მშვენიერების მხატვრულ სახედ აღითქვამს. მხატვრული სიტყვის ოსტატებმა კი იგი პოეტური შთაგონების წყაროდ აქციეს. ამ ხისადმი სრულიად გამორჩეულ დამოკიდებულებას გვაუწყებს ებრაელი ხალხის ისტორია.



ხალხთა შორის ურთიერთპატივისცემის და მეგობრული ურთიერთობის საუცხოო ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ ებრაელთა დიდი მეფის მეფსალმუნე დავითის ღირსეული მემკვიდრის სოლომონ მეფის მიერ იერუსალიმის პირველი ტაძრის მშენებლობის დაწყების წინ ტვიროსის მეფის ჰირამისადმი მიწერილი ეპისტოლე, რომელიც შემოგვინახა წმინდა წერილმა, როგორც ნიმუში ორი ქვეყნის ხელისუფალთა ჯანსაღი, მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებისა, ღვთისა და ქვეყნისადმი მათი გულანთებული მსახურებისა: „როგორც მამაჩემს დავითს ექცეოდი და ნაძვებს უგზავნიდი მისი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, მეც ასე მომიქეცი. აჰა, ვაშენებ უფლის ჩემი ღმერთის სახლს მისთვის საკურთხებლად, საკმევლის საკმევად, სანირი პურის მუდამაჟამს მისართმევად, აღსავლენის აღსავლენად დილა-საღამოობით, შაბათობით ახალმთავრობებისა და ჩვენი უფლის, ღმერთის დღესასწაულებისათვის“ ... ( მეორე ნეშტა 2, 4).

# ფიჭვი *Pinus halepensis*

მოჭრის თავისთვის კედრებს, და იღებს ცაცხვს და მუხას, და იმარაგებს თავისთვის ტყის ხეებს, რგავს **ფიჭვს** და წვიმა ზრდის მას.

ესაია 44, 14



# პირამიდული კვიპაროსი *Cupressus sempervirens*

როცა დაასრულა სახლის შენება სოლომონმა, კედრის ფიცრები ააკრა სახლის შიდა კედლებს, იატაკიდან ქერამდე; ქერი შიგნიდან ხით მოაპირკეთა და სახლის იატაკზე კვიპაროსის ფიცრები დააგო.

3 მეფეთა 6,14-15

რადგან პირამი, ტვიროსის მეფე, უგზავნიდა სოლომონს კედარისა და კვიპაროსის ხეებს და ოქროს მისი სურვილისაებრ, მეფე სოლომონმა მისცა პირამს ოცი ქალაქი გალილეს მხარეში.

3 მეფეთა 9, 11



კვიპაროსის გავცელებების არეალია ხმელთაშუა ზღვის აუზის აღმოსავლეთი მხარე, ლიბანიდან ირანამდე. იგი არის გვალვიანი და მშრალი კლიმატის მიმართ საკმაოდ ამტანი, ნიადაგის მიმართ უპრეტენზიო, კარგად ეგუება მწირ და ქვიან ნიადაგს. სხვა მარადმწვანე წიწვოვან მცენარეებთან ერთად ქმნის იშვიათი სილამაზის მწვანე კორომებს და მიმზიდველს ხდის გარემოს. გამოირჩევა სასაიმოვნო სურნელებით, სოკოვანი დაავადებებისა და მავნებლების მიმართ მედეგობის უნარის გამო დიდად ფასობს, როგორც სამშენებლო მასალა. სხვა წიწვოვანთაგან განსხვავებით არ გამოჰყოფს ფისს და იოლად ემორჩილება დამუშავებას. ამ დადებითმა თვისებებმა განსაზღვრა კაცობრიობის ისტორიის დასაწყისშივე კვიპაროსის ყველა სახეობის მიმართ ადამიანის განსაკუთრებული დამოკიდებულება.



# ჭადარი *Platanus orientalis*

მშვენობდა ის სიმაღლით და თავისი გრძელი ტოტებით, რადგან ფესვები დიდ წყლებში ჰქონდა გადგმული. კედრები ვერ ჩრდილავდნენ მას ღვთის ბაღში; ალვისხეები ვერ ედრებოდნენ თავისი რტოებით; ნეკერჩხლები თავისი ტოტებით ვერ უტოლდებოდნენ მას; ღვთის ბაღის ვერცერთი ხე ვერ უსწორდებოდა თავისი სილამაზით.

ეზეკიელი 31, 7-8



აღმოსავლური ჭადარის ებრაული სახელწოდება იერუსალიმის თაღმუდის მიხედვით „დოლევი მახრახ“-ია, არამეულად „დოლბა“. ამავე სახელწოდებით იცნობენ მას ისრაელის არაბებიც. ზოგი მკვლევარი ბიბლიურ ჭადარს წაბლთან აიგივებს, ზოგიც – ბიბლიის ქართული თარგმანის მსგავსად, ნეკერჩხალთან. წინასწარმეტყველი ეზეკიელი ჭადარს აღწერს როგორც ისეთ ტანმაღალ ხედ, რომ იგი ლიბანის კედარმაც კი ვერ დაჩრდილა. აღმოსავლეთის ხალხები ჭადარს წმინდა ხედ მიიჩნევდნენ და იყენებდნენ საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში. უძველესი ქალაქის იერიხონის ტერიტორიაზე ამჟამად აღმოჩენილია ხუთიათასი წლის წინანდელი ჭადრის ხისაგან გათლილი სამშენებლო კოჭები.

# მანდრაგორი *Mandragora autumnalis*

და ნავიდა რეუბენი მკის დროს მინდორში და იპოვა მანდრაგორის ვაშლები; მოუტანა ლეას, თავის დედას. უთხრა რახელმა ლეას: მინილადე შენი შვილის მანდრაგორები. უთხრა ლეამ: არ გეყო, ქმარი რომ ნამართვი? ახლა ჩემი შვილის მანდრაგორებსაც მართმევ?

დაბადება 30, 14-15



მანდრაგორი მრავალწლიანი მომწამლავი შხამების შემცველი მცენარეა. მისი ფესვები გარედან მუქი ყავისფერია, შიგნიდან - თეთრი, მოგვავონებს ადამიანის ტანს. გონების დამთრგუნველი თვისებების გამო მას ოდიტგან იყენებდნენ საძილე და ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად, ადამიანში იწვევს ჰალუცინაციებს და კომატოზურ მდგომარეობას. ბოროტი ადამიანები მას ჯადოსნური ძალის მქონედ თვლიდნენ და ხშირად თავიანთი ბოროტი ზრახვების აღსასრულებლად იყენებდნენ.





# მაყვალის Rubus fruticosus



გამოეცხადა უფლის ანგელოზი  
ცეცხლის ალად შუაგულ  
**მაყვლოვანში.** ხედავს, ცეცხლი  
უკიდია მაყვლოვანს, მაგრამ არ იწვის  
მაყვლის ბუჩქი. თქვა მოსემ: მივალ და  
ვნახავ ამ დიდებულ სანახავს, რატომ  
არ იწვის მაყვლოვანი. დაინახა  
უფალმა, რომ მოდის მოსე სანახავად  
და დაუძახა ღმერთმა შუაგულ  
მაყვლოვანიდან: მოსე! მოსე! მიუგო:  
აქა ვარ. უთხრა: ახლოს ნუ მოხვალ!  
გაიძრე ფეხსამოსი, რადგან ეს  
ადგილი, სადაც დგახარ, წმინდა მიწაა.

გამოსვლათა 3, 2-5



ქართული ტრადიციის მიხედვით  
სინას მთაზე ღმერთი მოსეს  
გამოეცხადა ცეცხლის ალად  
მაყვლის ბუჩქში, „მაყვლოვანში“.  
გამოსვლათა ნიგნის ებრაული  
ორიგინალის მიხედვით კი „ეკლის  
ბუჩქში“ („ჰა სანეა“-ში). თორას  
ებრაული ენიდან ქართულ ენაზე  
ებრაული მთარგმნელები, როგორც  
ჩანს ქართული ტრადიციის  
გავლენით „ჰა სანეას“ ე.ი. „ეკლის  
ბუჩქს“ „მაყვლოვანად“ თარგმნიან.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ბიბლიის ებრაულიდან უცხო ენებზე მთარგმნელების უმრავლესობა ერთგულად მიჰყვება ორიგინალს და თავიანთ თარგმანებში უცვლელად გადააქვთ ორიგინალისეული „ეკლის ბუჩქი“ (მაგ. რუსული თარგმანები, გერმანული შტუტგარტის ბიბლია, მენგე, ცვინგლი). ამ თარგმანებისაგან განსხვავებულ მიდგომას იჩენს ინგლისური ტრადიცია, რომელიც საუბრობს არა „ეკლის ბუჩქზე“, არამედ უბრალოდ „ბუჩქზე“. მსგავსი ვითარებაა ლუთერის გერმანული თარგმანის უძველეს გამოცემებში, რომლებმაც უახლეს დროში რედაქტირება განიცადა და შესაბამისად, „ბუჩქი“ „ეკლის ბუჩქით“ შეიცვალა. ყველა ზემოთაღნიშნული თარგმანებისაგან განსხვავებით, გამოსვლათა ნიგნის ხსენებული (3, 2) მუხლი ქართულის მსგავსად „მაყვლის ბუჩქითა“ თარგმნილი ტრადიციულად ბერძნულ, ლათინურ და სომხურ ბიბლიაში. ეს თარგმანები ათი და უფრო მეტი საუკუნით ადრეა შესრულებული ბიბლიის რუსულ, ინგლისურ და გერმანულ თარგმანებთან შედარებით. ამ თარგმანებში აღნიშნული მუხლის „მაყვლით“ და „მაყვლის ბუჩქით“ თარგმნის ტრადიციას ზურგს უმაგრებს სინას მთის წმინდა ეკატერინეს და მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრების ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან დიდი რუდუნებით დაცული „მაყვლოვანი“, რომელიც მარადის გვახსენებს, რომ მოსეს, სინას მთაზე ცეცხლის ალის სახით გამოეცხადა უფალი ღმერთი, ადამიანების რწმენაში განსამტკიცებლად.

# მდოგვი Brassica nigra

და იტყოდა: „რასა ვამსგავსო სასუფეველი ღმრთისაი, და ვისა მსგავს არს იგი? მსგავს არს იგი მარცუალსა **მდოგვისასა**, რომელი მოილო კაცმან და დასთესა იგი მტილსა თუისსა: და აღორძინდა და იქმნა იგი ხე დიდ; და მფრინველთა ცისათა დაიმკუიდრეს რტოთა მისთა“.

ლუკა 13, 18-19



შავი მდოგვის სამშობლოა ხმელთაშუაზღვის სანაპირო, საიდანაც გავრცელდა ევროპისა და აზიის ქვეყნებში. მდოგვის კულტივაციას ადამიანმა ხელი მიჰყო უხსოვარი დროიდან და, მას როგორც სამკურნალო და სასარგებლო მცენარეს იყენებდნენ მრავალმხრივი დანიშნულებით, განსაკუთრებით მედიცინასა და კულინარიისში. ქრისტიანულ სამყაროში მდოგვი განსაკუთრებით პოპულარული გახდა მახარებელ ლუკას სახარებაში ამ მცენარის შესახებ მოთხრობილმა იგავმა.

## მურტი *Myrtus communis*

ეკლის ადგილზე ალვისხე ამოვა და ქაცვის ადგილზე მურტი ამოვა; და იქნება უფლისათვის სახელად და საუკუნო ნიშნად, რომელიც არ წაიშლება.

ესაია 55,13



მარადმწვანე ბუჩქოვანი მცენარე მურტი ცნობილია ანტიკური ბერძნული მითოლოგიიდან. წმინდა მიწის, აგრეთვე ბერძნულ-რომაული სამყაროს მკვიდრნი მურტის გვირგვინით ამკობდნენ ახალდაქორწინებულთ. მურტის ფოთოლი შეიცავს ძვირფას ეთერზეთს, რომელსაც იყენებენ საკრალური დანიშნულებით. მას ფართო გამოყენება აქვს აგრეთვე მედიცინაში, კულინარიასა და ლიქიორის წარმოებაში.



## შროშანი *Lilium candidum*

მე ვარ ნარგიზი შარონისა და ღელეთა  
შროშანი. როგორც შროშანი ეკალთა შორის,  
ასეა სატრფო ჩემი ასულთა შორის.

ქებათა ქება 2, 1-2



## საკმელა *Cistus cretica*

რად მინდა საბადან მოტანილი საკმეველი და შორეული ქვეყნის ტკბილი ლერწამი? თქვენი აღსავლენი აღარ მუამება, თქვენი მსხვერპლი აღარ მეტკობა.

იერემია 6, 20



მიშნა „საკმელას“ მოიხსენიებს კეთილსურნელოვან მცენარეთა ნუსხაში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ებრაელთა წინაპრებმა ჯერ კიდევ ძველი აღთქმის პირველ წლებში ისწავლეს აღნიშნული მცენარის სხვა მცენარეულ კომპონენტებთან შეზავებით იშვიათი ნელსაცხებლების მომზადება, რომლებიც დღესაც გამოიყენება მირონის და სხვა კეთილსურნელოვანი ზეთების სახით.

# მინდვრის ყვავილი

თავკომბალა *Echinops adenocaulos*



თეთრი  
ლენცოტა  
*Hyoscyamus  
albus*



პატარძალა *Anchusa strigosa*



ნარგიზი  
*Narcissus tazetta*

ბალახია ყოველი ხორციელი და ყოველი  
მშვენება მისი - მინდვრის ყვავილი.

ესაია 40, 6

ყაყაჩო *Papaver polytrichum*



ბალბა *Malva sylvestris*



ძირწითელა *Echium judaeum*



ქოთანა *Silene aegyptiaca*



# ლაქაში *Typha latifolia*

როცა დამალვა ველარ შეძლო, აიღო ლერწმის კიდობანი, შეგოზა ფისითა და კუპრით, ჩასვა ბავშვი და დადო ლელიანში ნილოსის ნაპირას. ხოლო ბავშვის და მოშორებით იდგა, რომ გაეგო რა მოუვიდოდა. ჩავიდა ფარაონის ასული ნილოსზე საბანაოდ, მისი მხევლები კი ნილოსის პირას მიმოდოდნენ. დაინახა ლელიანში კიდობანი. გაგზავნა მხევალი და მოატანინა.



გამოსვლათა 2, 3-5

წყალი დაწყდება ზღვაში, ნილოსი დაინრიტება და დაშრება, მდინარეები ამყრალდება, დაიკლებს და დაშრება ეგვიპტის არხები, დაჭკნება ლელი და ლერწამი.

ესაია 19, 5-6

# ლერწამი *Arundo donax*



# ლელი

*Phragmites communis*

# ლერწამი (პაპირი) *Cyperus papyrus*



თუ იზრდება ლერწამი უჭაობოდ? თუ ამოდის შამბნარი უწყლოდ? ვიდრე ნედლია, არ ჭრიან და ყველა ბალახზე ადრე ჭკნება. ასეთი ბოლო აქვს ყველას, ღვთის დამვინყებელს, და უკეთურის მოლოდინი გაქარწყლდება ...

ნობი 8, 11-13

პაპირი ისლისებრთა ოჯახის მრავალწლოვანი ტროპიკული მცენარეა. მისი ქართული სინონიმი ჩილი. პაპირი უპირატესად იზრდება მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე. მისი ყოფით ცხოვრებაში გამოყენების მიზნით კულტივირებას მისდევდნენ ძველ ეგვიპტეში, პალესტინასა და ხმელთაშუაზღვის სანაპირო ქვეყნებში. უძველეს ხანაში მას იყენებდნენ საკვებად, მიგან ამზადებდნენ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, საყოფაცხოვრებო საგნებს, მათ შორის ჭილობებს. საყოველთაოდაა ცნობილი პაპირის ღეროებისაგან საგანგებო წესით დამზადებული სანერი მასალა, რომელიც პაპირუსის სახელწოდებითაა ცნობილი. პირველი წერილობითი ძეგლები სწორედ პაპირუსების სახითაა შემონახული. ცნობილია, რომ პაპირი ამ მიზნით პირველად ეგვიპტელებმა გამოიყენეს. მსოფლიოს ცნობილ მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში დაცულია პაპირუსზე დაწერილი ტექსტები არაბულ, არამეულ, ებრაულ, კოპტურ, ბერძნულ, ლათინურ და სხვა ენებზე.

ჩვენამდე ქართულ ენაზე პაპირუსზე დაწერილია ორმა ძეგლმა მოაღწია. ორივე შექმნილია პალესტინაში და ინახებოდა სინას მთაზე წმინდა ეკატერინეს მონასტერში. სანქტ-პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაშია დაცული ფსალმუნთა ფრაგმენტები. რამდენიმე პაპირუსი ინახება თბილისშიც, კეკელიძის სახელობის ხელნაერთა ინსტიტუტში.



# ფინიკი (ფინიკის პალმა) *Phoenix dactylifera*

მართალი ვითარცა ფინიკი აყვავნეს, და ვითარცა ნაძვი ლიბანისა განმრავლდეს. დანერგულნი სახლსა შინა უფლისასა, ეზოთა შინა სახლისა უფლისა ჩუენისათა ყუაოდინან.

ფსალმუნნი 91, 12-13



ფინიკის პალმის მოშენებას ჩრდილო აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ხელი მიჰყვეს ჩვენს ნელთალრიცხვამდე თითქმის ოთხათასი წლის წინათ. ფინიკის პალმა ნელამზარდი მცენარეა, ცხელი ზაფხულის თვეებში საჭიროებს მორწყვასა და განსაკუთრებულ მზრუნველობას. იგი მოსავალს იძლევა 80-100 წლის ასაკამდე, რაც განაპირობებს ამ კულტურისადმი დაინტერესებას. ისტორიიდან ცნობილია, რომ ამ კულტურამ დიდი ზიანი განიცადა ჯვაროსანთა ლაშქრობების დროს. თითქმის მთლიანად განადგურდა ფინიკის პლანტაციები გალილეის და მკვედარი ზღვის მხარეში. მოსახლეობამ XIX საუკუნეში განაახლა მისი მოშენება. წმინდა მიწის, კერძოდ იერიქონის ფინიკს მთელ ამ მხარეში ბადალი არ მოეძებნება.



# ოსპი *Lens culinaris*

და იაკობმა მისცა ესავს პური და **ოსპის** შეჭამადი, და ჭამა და სვა, და ადგა და წავიდა. ასე აიგდო ესავმა თავისი პირმშობა.

დაბადება 25, 34

აიღე ხორბალი, ქერი, ცერცვი, **ოსპი**, ფეტვი და ასლი, ჩაყარე ისინი ერთ ჭურჭელში და გქონდეს საჭმელად იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც გვერდზე იქნები დანოლილი: სამას ოთხმოცდაათ დღეს უნდა ჭამო ისინი.

უბეკიელი 4, 9



ოსპი ერთ-ერთი ყველაზე უძველესი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა. მისი მოყვანა და კვების პროდუქტად გამოყენება ემთხვევა მინის დამუშავების დანყების ისტორიას. სხვა უძველესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გვერდით ოსპი ხშირად მოიხსენიება ბიბლიურ წიგნებში. ადამიანის მეხსიერებამ ნეოლითის ხანიდან შემოუნახა კაცობრიობას ცნობები ამ უწყინარი მცენარის შესახებ, ბიბლიამ კი კაცობრიობის ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც უკავშირდება იაკობის პატრიარქალურ ოჯახს. იაკობის მიერ ოსპის, თითქოსდა უპრეტენზიო შეჭამადით ესავის დაპურება, ერთ-ერთი უძველესი წერილობითი დოკუმენტია, რომელიც მოგვითხრობს ოსპის კულინარიაში გამოყენების ისტორიას. საგულისხმოა ისიც, რომ ოსპის შეჭამადი თითქმის ხუთიათასი წელია, წარმოადგენს მორწმუნე ადამიანთა ერთ-ერთ უცვლელ სამარხვო ულუფათაგანს.

# პიტნა (პიტნაკი) *Mentha arvensis*

არამედ ვაი თქუენდა, ფარისეველნო, რამეთუ ათეულსა აღიღებთ **პიტნაკსა** და ტეგანისასა და ყოვლისა მხლისასა, და თანანარჰვლით სამართალსა და სიყუარულსა ღმრთისასა: ესე ჯერ-იყო ყოფად და იგი არა დატევებად.

ლუკა 11, 42



პიტნა საყოველთაოდ ცნობილი ბალახოვანი მცენარეა, რომელიც გავრცელებულია ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნახევარსფეროების ზომიერ სარტყელში, როგორც ველური, ასევე კულტივირებული სახით. სმელთაშუაზღვისპირა ქვეყნების და წმინდა მიწის მკვიდრნი ოდითგანვე იცნობდნენ მათ გარემოში ველურად მზარდ პიტნის ყველა სახეობას და მათ დამახასიათებელ თვისებებს და ადრევე მიჰყვეს ხელი მათ გამოყენებას. ოდითგანვე იქნა დადგენილი, რომ პიტნა შეიცავს მენტოლად ცნობილ ეთეროვან ზეთს, რომელსაც, როგორც არომატულ ნივთიერებას ტრადიციისამებრ დღესაც ფართოდ იყენებენ პარფიუმერიაში. პიტნის ღეროს და ფოთოლს როგორც არომატიზირებელ საწარმოებელ ნედლეულს განსაკუთრებული გამოყენება აქვს კვების მრეწველობაში. წმინდა მიწის არაბული მოსახლეობა საზოგადოებრივ თავყრილობებსა და მყუდრო ოჯახურ გარემოში სტუმრებს უმასპინძლდებიან პიტნის ნედლი ფოთლებით მომზადებული რიტუალური ცხელი ჩაით.

# ტეგანი *Ruta graveolens*



ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში ტეგანი მოიხსენიება მხოლოდ ერთად-ერთჯერ, ისიც მხოლოდ ლუკას სახარების დამონმებულ მუხლში. იგი ნახევრად ბუჩქოვანი, ბალახოვანი, ეთერზეთების შემცველი მრავალწლოვანი მცენარეა. გავრცელებულია უმთავრესად ხმელთაშუა-ზღვისპირეთსა და წინა აზიის ქვეყნებში. განსაკუთრებული გემოსა და არომატის გამო არაბული სამყაროს მკვიდრნი ტეგანის ნორჩ ფოთოლს, ასევე მის გამხმარ ძირებს სანელებლად იყენებდნენ სამზარეულო საქმეში, სხვადასხვა კერძების შესაკაზმად. სამკურნალო თვისებების გამო ტეგანს ერთხანს იყენებდნენ ხალხურ მედიცინაში და პარფიუმერიაში სურნელოვანი ზეთების და სამზადებლად. თანამედროვე მედიცინაში იგი ტოქსიკურობის გამო აღარ გამოიყენება.



## ჭინჭარი *Urtica pilulifera*

იმიტომაც, ვფიცავ, ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი, რომ დაემსგავსება მოაბი სოდომს და ყამონელები – გომორას, **ჭინჭრიან** ადგილს, მარილის ორმოს და უდაბნოს უკუნისამდე.

სოფონია 2, 9



აღნიშნული მცენარე განეკუთვნება ჭინჭრისებრთა ოჯახს. მას იცნობენ რომაული ჭინჭრის სახელით. გავრცელებულია იგი მკვდარი ზღვის მხარეში, ჟანგბადით ღარიბ, მშრალ და უდაბურ ადგილებში. მისი ფოთლები ისევე მსუსხავია, როგორც ჩვეულებრივი ჭინჭარი. მის ლორწოვან ბურთულა ნაყოფს ძველ დროში ღებულობდნენ როგორც გამაჯანსაღებელ, ჯანზე მოსაყვან მატონიზირებელ საშუალებას.

## პრასი *Allium porrum*



გვაგონდება თევზი, მუქთად რომ ვჭამდით  
ეგვიპტეში, კიტრები, ნესვები, პრასა, ხახვი  
და ნიორი. ახლა კი სული გვძვრება,  
არაფერია მანანას გარდა ჩვენს თვალწინ.

რიცხვთა 11, 5-6

## ხახვი *Allium cepa*



## ნიორი *Allium sativum*

## საზამთრო *Citrullus vulgaris*



## ნესვი *Cucumis melo*



იერუსალიმში 1995 წელს ქართულ და ებრაულ ტექსტთან ერთად გამოცემული თორას (მოსეს ხუთნიგნეული) მიხედვით, საუბარია „საზამთროზე“ (და არა „ნესვზე“), თორას რუსულ გამოცემაში კი მოხსენიებულია ნესვი.

## კიტრი *Cucumis sativus*

ირგვლივ კიტრის ჩუქურთმები ჰქონდა შემოვლელი კიდეზე ქვემოდან, ათ-ათი თითო წყრთაზე და ორ წყებად გარს ერტყა ზღვას. კიტრები მასთან ერთად იყო ჩამოსხმული.

3 მეფეთა 7, 24





# ხორბალი *Triticum dura*

ექვსი დღე იმუშავე და მეშვიდე დღეს დაისვენე. ხვნისა და მკის ჟამს დაისვენე. შვიდეულის დღესასწაული აღასრულე; იზეიმე პირველმონეული **ხორბლისა** და რთველის დღესასწაული წლის დამლევს.

გამოსვლათა 34, 21-22



## ქერი

### **Hordeum sativum**

მოვიდა ვილაც კაცი ბალ-შალიმიდან და მოუტანა ღვთისკაცს პირველმონეული პური; ოცი ქერის პური და თავთავები გუდით. თქვა ელისემ: მოეცი ხალხს, შეჭამონ.

4 მეფეთა 4, 42

## ცერცვი *Vicia faba*

როცა დავითი მიხანაიშვილი მოვიდა, შობი ნახაშის ძემ ყამონიანთა რაბათიდან, მაქირ ყამიელის ძემ ლოდებარიდან, ბარზილია გალაადელმა რიგელიმიდან, ქვეშაგებელი, თასები და თიხის ჭურჭელი, ხორბალი და ქერი, ფქვილი და ქუმელი, **ცერცვი** და ოსპი, თაფლი და ერბო, ცხვარი და ხბორები მიართვეს დავითსა და მის ხალხს საჭმელად, რადგან ფიქრობდნენ, მშიერ-მწყუვალნი და დაქანცულნი მოვიდოდნენო უდაბნოდან.

2 მეფეთა 17, 27-29



# ყურძენი *Vitis vinifera*

აჰა, დადგება დრო, ამბობს უფალი, როცა მხვნელი თავს წაადგება მომკელს და **ყურძნის** მწურავი-მთესველს; ბადაგად დაიღვრებიან მთები და გორაკები დადნებიან.

ამოს 9, 13



# ცერეცო *Foeniculum vulgare*



ვაი თქუნდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ ათეულსა მიიღებთ ჰიტნაკისასა და ცერეცოისასა და ძირაკისასა, და დაგიტევებიეს უმძიმესი სჯულისაი: სამართალი და წყალობაი და სარწმუნოებაი.

მათე 23, 23

ცერეცო უძველესი დროიდან იზრდება ველურად. კულტურული ცერეცოს ძირები თათისებურად დატოტვილი და ხორციანია. მას ხმელთაშუა-ზღვის აუზის ხალხები ოდითგან იყენებენ კულინარიაში, როგორც კალორიებით მდიდარ ბოსტნეულს, ნორჩ ღეროებს კი, ეროვნული კერძების სანელებლად. ცერეცოს ეთერზეთს ფართო გამოყენება აქვს მედიცინაშიც, როგორც ამოსახველებელ საშუალებას.



## ძირა, ძირაკი *Cuminum cyminum*



ძირა ხმელთაშუაზღვისპირეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრეცელებული ბალახოვანი მცენარეა. მის გამხმარ და დაფქულ თესლს ჯერ კიდევ ახალ წელთაღრიცხვამდე თითქმის მეორე ათასწლეულში და უფრო ადრე სირიელები, ეგვიპტელები და ებრაელები სამზარეულო საქმეში ფართოდ იყენებდნენ ხორცეული კერძების სანელებლად. ძირა შეიცავს იშვიათ ეთერზეთს, რაც განაპირობებს ამ მცენარის განუმეორებელ გემოს და მიმზიდველ სურნელებას. ეს იშვიათი თვისებები განსაზღვრავენ ძირას ხმარებისადმი აღმოსავლეთ სამყაროს ხალხების განსაკუთრებულ მიჯაჭვულობას. წმინდა მიწაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასულ მომლოცველებისათვის საყოველთაოდაა ცნობილი პარკოსანი მცენარეების – ლობიოს, ცერცვის და მუხუდისაგან მომზადებული ეგზოტიკური სამარხვო ულუფა ფელოფელი, რომლის ერთ-ერთ წამყვან სანელებელს სწორედ ძირა წარმოადგენს. ძირა პოპულარული სანელებელია ქართულ ეროვნულ სამზარეულოშიც. მის გარეშე წარმოუდგენელია ხინკლისა და შილაფლავის მომზადება.

# ქინძი *Coriandrum sativum*

ხოლო მანანა ქინძის თესლივით იყო, ფისს  
ჰგავდა შესახედავად

ესაია 11,7



## ეკალი (ურაშა) *Sarcopoterium spinosum*

იცოდეთ, აღარ აპყრის უფალი თქვენგან ამ ხალხებს, არამედ მახედ და ხაფანგად, შოლტად ექცევიან თქვენს ფერდებს, ეკლად ჩაგესობიან თვალში, ვიდრე არ გადაშენდებით ამ მადლიანი მიწიდან, რომელიც უფალმა, თქვენმა ღმერთმა მოგცათ თქვენ.

იესო ნავეს ძე 23, 13



ურაშა ხმელთაშუაზღვის აუზში გავრცელებული ბასრი ეკლების მქონე ბუჩქოვანი მცენარეა. ადამიანი ერიდება მასზე გავლას, უფრთხის ეკლების გამო. დამონმებულ მუხლში ურაშა არის ნახსენები მისი ბოროტი თვისების გამო, შეეჩეხოს ადამიანი, მან კი თვალი გამოთხაროს მას. უფალი ღმერთი ქანაანის ქვეყანაში დამკვიდრებულ ებრაელობას აფრთხილებდა არ შერეოდნენ იმ ხალხს, რომელიც მათთან ერთად დარჩა ამ მხარეში, არ ესხნენებინათ, თავყვანი არ ეცათ მათი ღმერთებისათვის. ასეთ ვითარებაში აფრთხილებს ებრაელ ხალხს ღმერთი და იესო ნავეს პირით ეუბნება ზემოთ მოტანილ სიტყვებს, რითაც გასაგები ხდება, რატომ აშინებს უფალი ებრაელ ხალხს ურაშათი.

## ნარი *Notobasis syriaca*

გავაველურებ, არ გაისხლება და არ დაიბარება, და ამოვა იქ ნარი და ეკალი, ღრუბლებს ვუბრძანებ, წვიმა არ აწვიმოს მათზე.

ესაია 5, 6





# ფსტა Pistacia palaestina


და გადასცეს იაკობს ყველა უცხო კერპი, რომლებიც მათ ხელში იყო, და რგოლები, რომლებიც ყურებზე ჰქონდათ, და დამალა იაკობმა ფისტის ხის ქვეშ შეხემის მახლობლად.

**ბერეშით (დაბადება) 35, 4**



და უთხრა მათ ისრაელმა, მათმა მამამ: თუ ასეა, ეს მაინც გააკეთეთ: გაავსეთ ჭურჭლები ამ ქვეყნის დოვლათით, ჩაუტანეთ იმ კაცს ძღვნად მცირეოდენი ბალსამონი, მცირეოდენი თაფლი, საკმეველი, შტახსი, ფსტა და ნუში.

**დაბადება 43, 11**



აღნიშნული მცენარის სახელი ბიბლიის თითქმის ყველა უცხოურ თარგმანებში სხვადასხვა დასახელებითაა გადატანილი, რაც თავად ებრაული ტექსტიდან მომდინარეობს. დაბადების (35, 4) ციტირებულ მუხლში ბიბლიის საქართველოს საპატრიარქოს გამოცემის მიხედვით შენარჩუნებულია დედნისეული „მუხა“, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ებრაული ტრადიციის მიხედვით ეს ტერებიანთა (ფსტა, ბელეკონი).

## ქაფურის ხე *Cinnamomum camphora*

ბალი ხარ დახშული, სძალო, დაო ჩემო, ჭა დაგმანული, წყარო დაბეჭდილი... ნარდით და ზაფრანით, ლერწმით და კინამოთი, ყოველგვარი გუნდრუკის ხითურთ, მურრით და ალოეთი, ყოველგვარი რჩეული სურნელებით.

ქებათ ქება 4, 12-14



მთარგმნელს, როცა იგი „კინამო“-ზე საუბრობს, მხედველობაში აქვს ქაფურის ხე, რომლისაგანაც ამზადებენ მძაფრი სუნის მქონე ეთერზეთს, რომელსაც ადრევე იყენებდნენ სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ და ნელსაცხებლად.

# ძახველი *Viburnum tinus*



გავსხნი ნაკადულებს ხმელგორებზე და წყაროებს ტრამალებში; უდაბნოს წყლის ტბორად ვაქცევ, ხრიოკ მინას – წყაროსთვალად. დავრგავ უდაბნოში ნაძვს, ურთხელს, მურტსა და ზეთისხილს; აღმართავ ტრამალზე ალვას, ნეკერჩხალთან და ბზასთან ერთად.

ესაია 41, 18-19

წინასწარმეტყველ ესაიას ციტირებულ მუხლს განმარტავს ებრაელი მკვლევარი დავიდ დარომი და აღნიშნავს, რომ ებრაულ ტექსტში დასახელებული მცენარის იდენტიფიცირება დიდხანს ვერ მოხერხდა. იგი ზოგიერთ თარგმანში შეანაცვლა სიტყვა „ჭადარმა“, ზოგში, მაგალითად, ინგლისურ, გერმანულ, რუსულ, ასევე ქართულ თარგმანში „ნეკერჩხალმა“, „ვერხვმა“. ბიბლიის არამეულ თარგმანში ეს მცენარე „ურან“ - ად („მარადმწვანე ძახველი“) არის მოხსენიებული. თანამედროვე ებრაულში მისი სახელია „მურან ჰა ხორემ“.



თვლიან, რომ იგი ზემოთმოყვანილ მუხლში აღწერილ რეალობასთან შესატყვისობაშია. „მარადმწვანე ძახველი“ ნელა მზარდი დაბალი ტანის ხემცენარეა. იგი უხვად გვხვდება კარმელის მხარეში. მისი კულტივირება ხდება ძირითადად დეკორატიული მიზნით.

## ქენნა *Salix babylonica*

მდინარეთა ზედა ბაბილონისათა მუნ დავსხედით, და ვტიროდით, რაჟამს მოვიხსენეთ ჩვენ სიონი. **ქენნა** ზედა შორის მისთა მუნ დავკიდენით საგალობელნი ჩვენნი.

ფსალმუნნი 136, 1-2



ქენნა, ანუ მტირალა ტირიფი ჩვეულებრივ იზრდება მდინარეების ნაპირზე. ფსალმუნნი მიანიშნებს იმ ადგილს, სადაც გაზრდილია მტირალა ტირიფი. ეს არის ბაბილონში, მდინარე ეფრატის ერთ-ერთი შენაკადის ნაპირას, სადაც ბაბილონელთა ტყვეობაში იმყოფებოდნენ ებრაელები. მდინარის ნაპირას მსხდომარეებმა გაიხსენეს იერუსალიმი და სიონის მთა და დამწუხრებულებს აუტყდათ ტირილი. მათი დამატყვევებლები ცინიკურად აიძულებდნენ მათ საგალობელი ჰიმნი ემღერათ სიონზე. რადგან არ ემღერებოდათ, მათ თავიანთი ქნარები ტირიფზე დაჰკიდეს, ან სამშობლოსაგან მოწყვეტილნი, უცხო ქვეყანაში დამონებულნი, რა გულით იგალობებდნენ სიონის საგალობელს?

## სელი *Linum bienne*

დაიცავით ჩემი წესები: პირუტყვს ნუ შეაჯვარებ ერთმანეთთან; ნუ დათესავ ყანაში ორნაირ თესლს; ნუ ჩაიცვამ მატყლისა და სელისგან მოქსოვილ ტანისამოსს.

ლევიანი 19, 19



სელი ერთ-ერთი უძველესი კულტურაა. მესოპოტამიასა და ეგვიპტეში მას უხსოვარი დროიდან იყენებდნენ სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულებით, განსაკუთრებით საფეიქრო საქმეში. სელის ძაფისაგან მზადდებოდა მესაქონლეობისა და მინათმოქმედებისათვის საჭირო შრომის იარაღები.

# სირიული უნაბი *Ziziphus spina-christi*



და შეთხზეს გვირგვინი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და ლერწამი მისცეს მარჯუნენსა ხელსა მისსა და მუხლნი დაიდგნეს მის წინაშე, ემღერდეს მას და ეტყოდეს: „გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო!“

მათე 27, 28-29



სირიულ უნაბს იუდეიზმში, ქრისტიანობასა და ისლამში სიმბოლური დატვირთვა აქვს. გადმოცემის თანახმად, ეკლის გვირგვინი, რომელიც იესო ქრისტეს დაადგეს თავზე დამზადებული იყო არა ძეძვის ეკლებისაგან, არამედ სირიული უნაბის ეკლიანი ტოტებისაგან.

**ძეძვი**

***Paliurus spina-christi***



## სოინჯი *Nigella sativa*

რადგან კევრით არ ლენავენ სოინჯს და ურმის ბორბალს არ ატრიალებენ კვლიავზე, რადგან **სოინჯი** კეტით იცეხება და ჯონით - კვლიავი.

ესაია 28,27



ძველი აღთქმის ხანიდან მოკიდებული, სოინჯს არაბულ სამყაროში იყენებენ კულინარიაში როგორც პილპილისმაგვარ ცხარე სანელებელს. მის გამხმარ თესლს გამოცხობამდე ზევიდან აფრქვევენ პურ-ფუნთუშეულს, რაც სასიამოვნო გემოს აძლევს ნამცხვარს. ძველი ეგვიპტელები კარგად იცნობდნენ სოინჯის ანტისეპტიკურ თვისებებსაც, რაზედაც ცნობებს გვანჯიან ანტიკური ისტორიული წყაროები.

## ტუხტი *Alcea setosa*

შიმშილისაგან გაძვალტყავებული გარბიან გვალვიან უდაბნოში, დიდი ხნის მიტოვებულ ტრამალებში; ქათამნაცარას წინკნიან ბუჩქებთან და კურდღლისცოცხას ფესვებია მათი ჰური.

იოზი 30, 3-4



„ისრაელის ველური მცენარეების“ (Wild Plants of Israel) მიხედვით იოზის 30, 4-ში ნახმარი მცენარის ებრაული სახელწოდებაა „ხოტმიტ ზიფანიტ“-ი. მისი ქართული სახელწოდებაა „ბურძგლა ტუხტი“, ლათინური – „*Alcea setosa*“, ინგლისური – „Bristly Hollyhock“. ამასთან, სტატიის ავტორს ელგა ალონს „ხოტმატ ზიფანიტის“ საილუსტრაციოდ მოტანილი აქვს იოზის 30, 4, რაც ნათელს ხდის, რომ აღნიშნულ მუხლში უნდა იყოს „ტუხტი“ და არა „ქათამნაცარა“. შესაბამისად, იოზის დამონებული მუხლის მიხედვით „გაძვალტყავებული ბუჩქებთან წინკნიდნენ „ტუხტს“ და არა „ქათამნაცარას“.





## უსუპი *Hyssopus officinalis*

აილოს ვინმე სუფთა კაცმა უსუპი და დაასველოს წყალში, ასხუროს კარავს, ყოველ ჭურჭელს, ყოველ კაცს, ვინც იქ არის, ყველას, ვინც ძვალს, ან მოკლულს, ან მკვდარს, ან სამარხს მიჰკარებია.

რიცხვნი 19, 18



უსუპი ბიბლიაში საკმაოდ ხშირად მოიხსენიება. მისი ებრაული სახელწოდებაა „ეიზოვ“-ი. საგულისხმოა, რომ აღნიშნული მცენარე, წმინდა მიწაზე არ იზრდება. წმინდა წერილში „ეიზოვ“-ში („უსუპ“-ში) გულისხმობენ ორეგანოს ანუ მაიორანს, რომელიც მცენარეთა იგივე ოჯახს განეკუთვნება, რომელსაც უსუპი („ეიზოვი“). გარდა იმისა, რომ უსუპი (მაიორანი) გამოიყენებოდა რიტუალური დანიშნულებით, მას იყენებდნენ სამზარეულო საქმეში სხვადასხვა კერძების სანელებლად და ჩაის დასამზადებლად.

**სირიული  
მაიორანი *Origanum syriacum***

# ნუში *Prunus amygdalis*

მეორე დღეს, როცა მოსე შევიდა ალექმის კარავში, აჰა, აყვავდა აარონის კვერთხი, ლევის სახლიდან, აყვავდა, გაიფურჩქნა ყვავილი და დამნიფდა ნუში.

რიცხვნი 17, 23



ველურადმზარდი ნუში უძველესი დროიდანაა ცნობილი ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ირანში. წმინდა მიწაზე იგი გვხვდება ყველგან, მაგრამ მისი განსაკუთრებული გავრცელების არეალად ითვლება კფარ თავორი. ამ რეგიონში ნუში ხემცენარეთაგან ყველაზე ადრე, თითქმის ზამთარშივე, იანვარ-თებერვალში იწყებს ყვავილობას. წმინდა მიწაზე მცხოვრებმა ებრაელმა და არაბმა მოსახლეობამ ნუშის კულტურა ადრეულ საუკუნეებშივე აქციეს არსებობის და მატერიალური შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ. დღეს ნუშის ნაყოფს როგორც ძვირადღირებულ ნედლეულს ფართო გამოყენება აქვს საკონდიტრო ინდუსტრიაში, ფარმაციასა და პარფიუმერიაში.







### ბიბლიოგრაფია:

ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989.

ბიბლია, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, 2002.

თორა, ქართულ ენაზე ებრაულ ტექსტთან ერთად, იერუსალიმი, 1995.

ახალი აღთქმა, თბილისი, 2003.

Septuaginta, Editio altera, Deutsche Bibelgesellschaft, 2006.

Biblia Sacra, Iuxta Vulgatae Versionem, Deutsche Bibelgesellschaft, 2007.

Hebrew-English Bible, Jerusalem, 1997.

The Holy Bible, The British and Foreign Bible Society, London.

Die Bibel oder die ganze Heilige Schrift des alten und neuen Testaments, nach der deutschen Uebersetzung Martin Luthers, Elberfeld, Verlag v. Wilhelm Hassel.

Die Heilige Schrift Alten u. Neuen Testaments, Übersetzt und neu bearbeitet von Hermann Menge, Berlin 1960.

Stuttgarter Altes Testament, Einheitsübersetzung mit Kommentar und Lexikon, Stuttgart, 1980.

Die Bibel, Die Heilige Schrift des Alten und Neuen Bundes, Freiberg. Basel. Wien.

Библия, Книги священного писания ветхого и нового завета, 1992.

Пять книг торы, русский перевод Давида Йосифона, Йерушалаим.

Beautiful Plants of the Bible, Text u. Photography by Dr. David Darom.

Archimandrit Lazarus (Gagnidse-Dwali), Botanisches Wörterbuch – Deutsch-Georgisch, Georgisch-Deutsch (Mit digitalen Pflanzenaufnahmen).

# სარჩევი

ავთორისაგან	4	პროზანი	36
აბზინდა, პერცხლისფერი აბზინდა	5	Lilium candidum	36
Artemisia absinthium, Artemisia arborescens	5	საკმელა	37
აკაცია	6	Cistus cretica	37
Acacia tortilis	6	მინდვრის ყვავილი	38
ურთხელი (ულკომკველი)	7	თავკომბალა Echinops adenocaulos, თეთრი ლენცოფა Hyoscyamus albus,	
Taxus baccata	7	პატარძალა Anchusa strigosa, ნარგიზი Narcissus tazetta,	
ბეთელის მუხა	8	ყაყაჩო Papaver polytrichum, ბალბა Malva sylvestris,	
Quercus ithaburensis	8	ძირწითელა Echium judaeum, ქოთანა Silene aegyptiaca	
ალექოს მუხა, პალესტინის მუხა	9	ლაქაში, ლარნაში, ლალი	39
Quercus boissieri, Quercus calliprinos	9	Typha latifolia, Arundo donax, Phragmites communis	39
გრონაული	10	ლარნაში (პაპირი)	40
Punica granatum	10	Cyperus papyrus	40
ვარდკაჭაჭა	11	ფინიკი (ფინიკის პალმა)	41
Cichorium pumilum	11	Phoenix dactylifera	41
ვამლი (მაშალა)	12	ოსკი	42
Malus sylvestris	12	Lens culinaris	42
ჯაფრანა	13	პიტნა (პიტნაკი)	43
Crocus hyemalis	13	Mentha arvensis	43
ჯეთისხილი	14	ტაბანი	44
Olea europaea	14	Ruta graveolens	44
თეთრი ხვალა	15	ჭინჭარი	45
Populus alba	15	Urtica pilulifera	45
ნაქერჩხალი	16	პრასი, ხახვი, ნიორი	46
Acer obtusifolium	16	Allium porrum, Allium cepa, Allium sativum	46
თუთა	17	საჯამთრო, ნესვი	47
Morus nigra	17	Citrullus vulgaris, Cucumis melo	47
იალღუნი	18	კიტრი	48
Tamarix aphylla	18	Cucumis sativus	48
ინღაუ	19	ხორბალი, ქერი	49
Eruca sativa	19	Triticum dura, Herdeum sativum	49
პაპალი, ნიგოზი	20	ცერცვი	50
Juglans regia	20	Vicia faba	50
პაპარი	21	ვურქანი	51
Capparis spinosa	21	Vitis vinifera	51
კურღლისცოცხა	22	ცერცო	52
Genista fasselata	22	Foeniculum vulgare	52
კუროსთავი	23	ქირა, ქირაკი	53
Tribulus terrestris	23	Cuminum, cuminum	53
რეტამა	24	ქინძი	54
Retama raetam	24	Coriandrum sativum	54
ლენცოფა	25	ეკალი (ურაგა)	55
Hyoscyamus aureus	25	Sarcopoterium spinosum	55
ლევი	26	ნარი	56
Ficus carica	26	Notobasis syriaca	56
ლეღვსულელი	27	ფსტა	57
Ficus sycomorus	27	Pistacia palaestina	57
ლიბანის ნაქვი (ქეღარი)	28	ქაფურის ხა	58
Cedrus libani	28	Cinnamomum camphora	58
ფიჭვი	29	ქახვალი	59
Pinus halepensis	29	Viburnum tinus	59
პირამიდული კვიპაროსი	30	ქენა	60
Cupressus sempervirens	30	Salix babylonica	60
ჭადარი	31	სელი	61
Platanus orientalis	31	Linum bienne	61
მანდრაგორი	32	სირიული უნაგი, ქაქვი	62
Mandragora autumnalis	32	Paliurus spina-christi, Paliurus spina-christi	62
მაცვალი	33	სოინჯი	63
Rubus fruticosus	33	Nigella sativa	63
მღოგვი	34	ტუსტი	64
Brassica nigra	34	Alcea setosa	64
მურტი	35	უსუპი, სირიული მანიორანი	65
Myrtus communis	35	Ziziph spina-christi, Origanum syriacum	65
		ნუში	66
		Prunus amygdalis	66



ISBN 978-9941-0-6412-8



9 789941 064128